



## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000047684639420

№ ს-253

11 / თებერვალი / 2020 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 იანვრის Nს-66 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 7 თებერვლის Nკ-41 ბრძანების საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- შეტანილ იქნას ცვლილება, „მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 იანვრის Nს-66 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:  
**„გ. კომისიის მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თამუნა კიკილაშვილი. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას და არ მონაწილეობს ხმის მიცემის პროცესში“.**
- ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

გივი გიუტაშვილი